მიღებული ღვინის კომპონენტებისაგან**

ცნობილია რომ ორგანიზმებში და მათ გარემომცველ არეებში მიმდინარე ქანგვითი პროცესების საკითხები ბიოლოგიის ყველაზე უფრო ხანდაზმულ საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება. ამ პროცესების უაღრესად დიდი მნიშვნელობა ორგანიზმთა ცხოველმყოფელობაში უკვე დიდი ხნის წინათ (პრისტლეი, ლავუაზიე) იყო ცნობილი და ამ ხნიდან მოყოლებული არასოდეს არ შეწყვეტილა ბიოლოგთა დაინტერესება მათ ღრმა გაგებაში.

გარკვეული თვალსაზრისით ღვინო ბიოლოგიურ ობიექტს წარმოადგენს და მას ცოცხალ ორგანიზმსაც კი ადარებენ, რადგან მისი განვითარება, რომელიც 5 სტადიას მოიცავს (1. წარმოშობას, 2. დადგინებას, 3. დაწყვიტებას, 4. დაძველებას და 5. სიკვდილს), ცოცხალი ორგანიზმის განვითარების შესაგვსია.

ღვინის მთლიანი განვითარება, როგორც ცნობილია, ქანგვა-ალდგენითი პროცესებისაგან შედგება და ამდენად ბუნებრივია, რომ ქანგვა-ალდგენითი სისტემებისა და ქანგვა-ალდგენითი პოტენციალის ცოდნა ღვინის უაღრესად მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს, რომელიც გვეხმარება იმ პროცესთა სწორად და ღრმად გაგებაში, რომლებსაც ადგილი აქვს ღვინის განვითარების სხვადასხვა სტადიაზე. ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქანგვა-ალდგენითი პოტენციალის მიზანდასახული რეგულირებით შეგვიძლია ვმართოთ ის პროცესები, რომლებიც განაპირობებს ამა თუ იმ ტიპის ღვინის მიღებას.

გამომდინარე ღვინის ქანგვა-ალდგენითი პოტენციალის უაღრესად დიდი მნიშვნელობიდან, საინტერესოა იმ გავლენისა და კორელაციური დამოკიდებულებების რკვევა, რომლებიც არსებობს ამ უკანასკნელსა და

ლენის ქანგვა-აღდგენით სისტემებს შორის, კერძოდ ჩვენ გვინტერესებდა ამ მიმართულებით შეგვესწავლა რკინისა და ფენოლური ნაერთების როლი. პირველი კომპონენტი ქანგვა-აღდგენით სისტემას ქმნის რკინის ორ და სამვალენტო იონებისაგან, მეორე კი — ფენოლური ნაერთებისაგან.

ბიზ. ი. ი. თ. ე. კ.

ანალიზის ობიექტები და მეთოდები

კვლევის ობიექტად შევირჩიეთ საქართველოს სსრ მაღალმთიან რაიონებში გავრცელებული თეთრ და წითელყურძნიანი ვაზის აბორიგენული ჯიშები „წულუკიის თეთრა“ და „ალექსადროული“.

ყურძნის წვენში, დუღილის დასასრულისათვის, დემეტალიზაციის წინ და დემეტალიზაციის შემდეგ ისაზღვრებოდა:

1. ყურძნის წვენის შექრიალობა %-ობით არეომეტრული მეთოდით;
2. ტიტრული მჟავიანობა %_მ-ობით აციდომეტრული მეთოდით;
3. აქროლადი მჟავიანობა %_მ-ობით გამარტივებული მეთოდით;
4. ალკოჰოლი მოც. %-ობით ებულიომეტრის საშუალებით;
5. pH—პოტენციომეტრული მეთოდით.
6. ფენოლური ნაერთები მგ/ლ-ობით ნეიბაუერისა და ლევენტალის მეთოდით.
7. რკინის რაოდენობა მგ/ლ-ით კალიუმის ფეროციანიდის საშუალებით, ГОСТ 13195-73-ის მიხედვით ფოტოელექტროკოლორიმეტრირებით.
8. ქანგვა-აღდგენითი პოტენციალი მილივოლტობით პოტენციომეტრული მეთოდით. ქანგვა-აღდგენითი პოტენციალის გასაზომად ვიყენებდით სპეციალურ ჰურჰელს, რომელშიც შესაძლებელი იყო ლენის თერმოსტატირება. ჰურჰელში შლიფების საშუალებით მაგრდებოდა პლატინისა და კალმელის ელექტროდები, რომლებიც თავის მხრივ პოტენციომეტრის უკავშირდებოდნენ. ნიმუშის გადატანას ბოთლიდან ამ ელექტროლიტურ ჰურჰელში ვაწარმოებდით პიროგალოლის ტუტე ხსნარში ქანგვადის მინარევისაგან გაწმენდილი აზოტის წნევით.

ანალიზის შედეგები

ნიმუშების ქიმიური ანალიზის შედეგები სტადიების მიხედვით მოცემულია 1-ელ და მე-2 ცხრილებში.

რამდენადაც ქანგვა-აღდგენითი პოტენციალის კორელაციური დამოკიდებულების გარკვევა ჩვენ გვინტერესებდა იმ ქანგვა-აღდგენით სისტემებისაგან დამოკიდებულებით, რომლებიც წარმოიქმნება მეტალები-



ნიმუშის დასახელება	*მულტის თერა*							
	შაქრიანობა % -ით	ტიტრული მჟავიანობა % -ით	ალკოჰოლი მოც. % -ით	აქროლადი მჟავიანობა % -ით	pH	ფენოლური ნაერთები მგ/ლ	Fe მგ/ლ	Eh მგ
საანალიზო სტადიების დასახელება								
ტყეობი	21,68	4,8	—	—	3,4	162	5	+48
დუღილის დასასრული	—	5,1	12,3 ± 0,2	0,26	3,3	162	7	+125
დემეტალიზაციის წინ	—	4,0	12,2 ± 0,2	0,66	3,43	162	17	+221
დემეტალიზაციის შემდეგ	—	3,6	11,5 ± 0,2	0,66	3,43	135	3	+20

ცხრილი 2

ნიმუშის დასახელება	*ალექსანდროული*							
	შაქრიანობა % -ით	ტიტრული მჟავიანობა % -ით	ალკოჰოლი მოც. % -ით	აქროლადი მჟავიანობა % -ით	pH	ფენოლური ნაერთები მგ/ლ	Fe მგ/ლ	Eh მგ
საანალიზო სტადიების დასახელება								
ტყეობი	23,19	6,15	—	—	2,82	432	3	-93
დუღილის დასასრული	—	6,15	12,4 ± 0,2	0,73	2,85	2052	5	+146
დემეტალიზაციის წინ	—	5,95	12,5 ± 0,2	0,79	3,30	2268	23	+191
დემეტალიზაციის შემდეგ	—	5,78	12,5 ± 0,2	0,79	3,40	2160	6	+102

საგან, კერძოდ ჩვენს შემთხვევაში, რკინისაგან და ფენოლური ნაერთებისაგან, ამიტომ ანალიზის სხვა მონაცემები, როგორცაა შაქრიანობა, ტიტრული და აქროლადი მჟავიანობა და ალკოჰოლის შემცველობა, გარკვეულწილად ჩვენთვის მეორეხარისხოვანია და უფრო მეტად ნიმუშების ავტორიზაციის დასახასიათებლად თუ გამოგვაღებება.

pH-ის მნიშვნელობის ცოდნა ქანგვა-აღდგენითი პოტენციის განსაზღვრისას აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგანაც ცნობილია, რომ ღვინის ქანგვა-აღდგენითი პოტენციალი მცირდება დაახლოებით 60 მე-ით, როდესაც ადგილი აქვს pH-ის ერთი ერთეულით გაზრდას. თუ ამ დებულებით ვიხელმძღვანელებთ და 1-ელ და მე-2 ცხრილების მონაცემებს გვაანალიზებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ Eh-ის ცვალებათუე pH-ის ცვლილებას არავეითარი გავლენა არა აქვს.

Eh-ის რკინასთან და ფენოლურ ნაერთებთან კორელაციური დამოკიდებულების გასარკვევად ვისარგებლეთ ბიომეტრიაში ცნობილი ფორმულებით:

კორელაციის კოეფიციენტისათვის

ერკენშეი
ბიბლიოქოლაჟი

$$Z = \frac{\Sigma(V'-M')(V''-M'')}{\sqrt{\Sigma(V'-M')^2 \cdot \Sigma(V''-M'')^2}}$$

სადაც Z არის კორელაციის კოეფიციენტი,

$(V'-M')$ და $(V''-M'')$ შესაბამისად ცალკეულ მნიშვნელობათა და საშუალო არითმეტიკულის სხვაობა პირველი და მეორე კომპონენტისათვის.

კორელაციის კოეფიციენტის საშუალო ცდომილებისათვის

$$m_z = \pm \sqrt{\frac{1-z^2}{n-2}}$$

სადაც m_z არის კორელაციის კოეფიციენტის საშუალო ცდომილება;

z — კორელაციის კოეფიციენტი;

n — ცდის რაოდენობა და

დამაჯერებლობის მნიშვნელობისათვის, რომელიც კორელაციის კოეფიციენტის შესაძლებელი ცდომილების ალბათობის დადგენის შემთხვევაში გამოიანგარიშება ფორმულით

$$t_z = \frac{z}{m_z}$$

სადაც t_z არის დამაჯერებლობის მნიშვნელობა;

z — კორელაციის კოეფიციენტი;

m_z — კორელაციის კოეფიციენტის საშუალო ცდომილება.

თუ მოვახდენთ ზემოთ აღნიშნული სიდიდეების გათვლას ნიმუშ „წულუკიძის თეთრა“-ს მიმართ, მივიღებთ, რომ კორელაციის კოეფიციენტი z_1 ქანგვა-აღდგენით პოტენციალსა და ფენოლურ ნაერთებს შორის უდრის 0,62, ხოლო ქანგვა-აღდგენით პოტენციალსა და რკინის რაოდენობას შორის $z_2 = 0,96$.

ნიმუშ „ალექსანდროული“-სათვის აღნიშნულ კოეფიციენტთა მნიშვნელობა შესაბამისად გვექნება $z_3 = 0,97$ და $z_4 = 0,65$.

ბიომეტრიაში მიღებული ფორმულებით დადასტურებულია კორელაციის კოეფიციენტთა ყველა ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობის დამაჯერებლობა.



1. შესწავლილ იქნა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში გავრცელებული ვაზის ჯიშებიდან „წულუკიძის თეთრა“ და „ალექსანდროული“ დან მიღებულ ღვინომასალებში ქანგვა-აღდგენითი პოტენციალის კორელაციური დამოკიდებულება ფენოლური ნაერთების და რკინის შემცველობასთან;

2. ბიომეტრიაში მიღებული მეთოდებით დადგინდა იქნა კორელაციური დამოკიდებულების კემაროტება აღნიშნულ პარამეტრებს შორის;

3. აღმოჩნდა, რომ ნიმუშ „წულუკიძის თეთრა“-ში კორელაციური დამოკიდებულება:

ა) ქანგვა-აღდგენით პოტენციალსა და ფენოლურ ნაერთებს შორის პირდაპირი და საშუალოა;

ბ) ქანგვა-აღდგენით პოტენციალსა და რკინის რაოდენობას შორის პირდაპირი და ძლიერია;

4. დადგინდა იქნა, რომ ნიმუშ „ალექსანდროული“ კორელაციური დამოკიდებულება:

ა) ქანგვა-აღდგენით პოტენციალსა და ფენოლურ ნაერთებს შორის პირდაპირი და ძლიერია;

ბ) ქანგვა-აღდგენით პოტენციალსა და რკინის რაოდენობას შორის პირდაპირი და საშუალოა.

5. მიღებული შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ ღვინომასალების მიღების ტექნოლოგია აღიმიტებს ქანგვა-აღდგენითი პოტენციალის კორელაციურ დამოკიდებულებას ღვინომასალების შემადგენელ სხვადასხვა კომპონენტებთან.

ლიტერატურა — Литература

1. Ж. Риберо-Гайон. Виноделие. Преобразование вина и способы обработки. М., «Пищепромиздат», 1956.
2. В. И. Нилов, И. М. Скурихин, Химия виноделия, М., «Пищевая промышленность», 1967.
3. И. А. Чернавина, Н. Г. Потапов, Л. Г. Косулина, Т. Е. Кренделева. «Большой практикум по физиологии растений», М., «Высшая школа», 1978.
4. Г. Г. Агабальянц, Р. Д. Бегунова, Л. М. Джанполадян, Е. С. Дрбоглав, О. С. Захарина, В. С. Майоров. Химико-технологический контроль виноделия, М., «Пищевая промышленность», 1969.
5. Под ред. доктора техн. наук Г. Г. Валуйко. Сборник технологических инструкций, правил и нормативных материалов по винодельческой промышленности», изд. IV, М., «Пищевая промышленность», 1975.

მ. ბაჩიალავაძე, თ. ბაჩიალავაძე

სამიჩინა და ჯივარი თავისებურების გავლენა ბიოაქტიურ ნივთიერებათა
შეხვედრებაზე აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინა ზონაში
მოწეულ აბრის ნაყოფში

ხილის მოსავლიანობის გადიდება სასურსათო პროგრამის წარმატე-
ბით შესრულების ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. დღევან-
დელ ეტაპზე, ხილი სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს და ამიტომ რაო-
დენობასთან ერთად უდიდესი ყურადღება ექცევა პროდუქციის ისეთ
ხარისხობრივ მაჩვენებლებს, როგორცაა მისი კვებითი და სამკურნალო
თვისებები.

ხილის კვებით, სამკურნალო და მასტიმულირებელ თვისებებს ძირი-
თადად მასში არსებული ბიოაქტიური ნივთიერებები განსაზღვრავენ, რო-
მელთაგან უპირატესი მნიშვნელობა ვიტამინებს ენიჭებათ.

დადგენილად ითვლება, რომ ვიტამინები C (ასკორბინის მჟავა, დეჰი-
დროასკორბინის მჟავა) და P (კატეხინები, ფლავონოლები, ზოგიერთი
ანტოციანი და სხვა) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სხივური და გულ-
სისხლძარღვთა დაავადების, გრიპის, სხვადასხვა ანთებითი პროცესის,
სისხლის დენის და სხვა დაავადებათა პროფილაქტიკასა და მკურნალო-
ბაში [2,7]. B ჯგუფის ვიტამინები კი ხელს უწყობენ ნერვული სისტემის
ნორმალურ თუნქციონირებას.

აღმამიანისათვის ბიოაქტიურ ნივთიერებათა ძირითად წყაროს მცენა-
რეული საკვები და კერძოდ ხილი წარმოადგენს. თვლიან, რომ ხილის P
ვიტამინურ აქტივობაზე შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ კატეხინებისა
და ანტოციანების შემცველობის მიხედვით [2].

დიდია ვიტამინების როლი მცენარის სასიცოცხლო ციკლშიც. ისინი
აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ცალკეულ ბიოქიმიურ პროცესებში
და მთლიანად ნივთიერებათა ცვლაში. დამყანგველ-აღმდგენელი ფერმე-
ნტები შედგებიან ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი წარმოადგენს



ცილოვან ნივთიერებას, მეორე კი ვიტამინს ან ნუკლეოტიდს (კოფერმენტს). მაგალითად ვიტამინ B₂-ს შეუძლია შეუერთდეს ოცზე მეტი ცილას და წარმოქმნას ამდენივე ფერმენტი. ისეთი ვიტამინები არიან B₁, B₆ და ზოგიერთი სხვა, ფერმენტების შედგენილობაში ცილებს სუნთქვის აქტს. ვიტამინი B₆ მონაწილეობს ამინომჟავების შექმნაში ამონიაკის ორგანულ მჟავებთან შეერთების დროს.

ვიტამინები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მცენარეში ფოსფოროვანი შენაერთების გარდაქმნის დროს, როგორც ენერჯის მატარებლები. ვიტამინები B₂, C, PP, ბიოტინი, ფოლის მჟავა და სხვები სუნთქვის აქტში ახორციელებენ უანგვა-ალდგენით პროცესს [12].

ხილში და ბოსტნეულში ვიტამინების რაოდენობა დამოკიდებულია მცენარის ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, ჭიშურ თავისებურებაზე, ეკოლოგიურ პირობებზე, აგროტექნიკურ ღონისძიებაზე (სასუქების სახეები და დოზები, მორწყვა) და სხვა.

ცხადია, საძირეც, რომელზეც მთლიანადაა დამოკიდებული სანამყენის მინერალური კვება, გარკვეულ გავლენას მოახდენს ნაყოფის ბიოქიმიურ შედგენილობაზე.

გამოკვლევებით დადგენილია, რომ საძირის გავლენით სანამყენეში იცვლება ნახშირწყლების, ორგანული მჟავების, ფენოლური ნაერთების, თავისუფალ ამინომჟავების და სხვა ნაერთების შემცველობა [2, 3, 8, 11, 13]. რაც შეეხება საკითხს თუ როგორ გავლენას ახდენს საძირე ატმის ნაყოფში, ბიოქიმიურ ნივთიერებათა შემცველობაზე ნაკლებადაა შესწავლილი. ამ ხარჯების შესახებ უმეტესად ჩვეულებრივ შეგვესწავლა აღნიშნული საკითხი.

მეთოდია და ცდის ობიექტი

ცდები ტარდებოდა 1975—1978 წწ. საცდელად აღებული იყო ატმის ოთხი ჯიში: საკონსერვო საადრეო, ოქროს იუბილე, ელბერტა და ხიდისთაური ვარდისფერი. თითოეული ჯიში დამყნობილი იყო ატამზე, ნუ+შზე, ჰერამზე და ტყემალზე. საცდელი ჯიშები შერჩა სიმწიფის ვადების (საადრეო, საშუალო-საადრეო, საშუალო სიმწიფის პერიოდის) და ნაყოფის ფერის მიხედვით (თეთრბილიანი, ყვითელბილიანი). საცდელი მცენარეები გაშენებულია ერთდროულად, ერთნაირ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში (გალავნის ექსპერიმენტული მეურნეობა). ნიმუშებს ანალიზისათვის ვილებდით საკრეფი სიმწიფის პერიოდში.

ნიმუში ისაზღვრებოდა ასკორბინის მჟავა — ტილმანისის მეთოდით [6], P — აქტიური კატეხინების სხვადასხვა ფორმები ვიგოროვის მეთოდით [2], ქლოროფენის მჟავა — ტრიბუნსკაიას მეთოდით [13], B ჯგუფის ვიტამინები ოდინცევისა და პომონიკოვის მეთოდით [9].



როგორც მიღებული შედეგებიდან ირკვევა (ცხრ. 1, 2, 3, 4), ატმის ნაყოფში ბიოაქტიურ ნივთიერებათა რაოდენობა იცვლება ჯიშური თავისებურებების, სიმწიფის ვადასა და საძირის გავლენით.

ასკორბინის მჟავა, P — აქტიური კატეხინები, B ვიტამინები (B₁, B₂, B₃, B₆), ნიკოტინის მჟავა, ბიოტინი და ინოზიტი მეტი რაოდენობით აღმოჩნდა ვვანიის სიმწიფის ჯიშებში (ელბერტა, ხიდისთაური ვარდისფერი) ვიდრე საადრეო (საკონსერვო საადრეო) და საშუალო-საადრეო (ოქროს იუბილე) პერიოდის ჯიშებში (ცხრილი 1, 2). მაგალითად ასკორბინის მჟავას საკონსერვო საადრეო შეიცავს 6.6 მგ %-ს, ოქროს

ცხრილი 1

ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობა ატმის ნაყოფში ჯიშური თავისებურებების მიხედვით

ჯ ი შ ი	ასკორბინის მჟავა მგ %	P აქტიური კატეხინები (საერთო) მგ %	კლოროგენის მჟავა მგ %
საკონსერვო საადრეო	6,6	30,1	17,2
ოქროს იუბილე	12,9	23,4	17,0
ელბერტა	9,6	32,1	24,8
ხიდისთაური ვარდისფერი	11,9	41,8	22,4

ცხრილი 2

B-ჯგუფის ვიტამინების შემცველობა ატმის ნაყოფში ჯიშური თავისებურებების მიხედვით

ჯ ი შ ი	თიამინი (B ₁) მგ %	რიბოფლავინი (B ₂) მგ %	პანტოთენის მჟავა (B ₃) მგ %	პირიდოქსინი (B ₆) მგ %	ნიკოტინის მჟავა (PP) მგ. გ. %	ბიოტინი (H) მგ. გ. %	ინოზიტი მგ %
საკონსერვო საადრეო	0,18	0,16	90,0	95,5	936,2	9,2	6,2
ოქროს იუბილე	0,15	0,16	107,0	82,2	989,9	8,7	5,6
ელბერტა	0,1	0,27	111,0	91,0	1079,0	10,7	6,5
ხიდისთაური ვარდისფერი	0,25	0,24	111,7	93,0	1034,0	10,2	7,5

იუბილე — 12,9 მგ %-ს, ხიდისთაური ვარდისფერი კი — 11,0 მგ %-ს. საერთო კატეხინების რაოდენობა საკონსერვო საადრეოში 30,1 მგ %-ს უდრიდა, ელბერტაში — 32 მგ %-ს, ხიდისთაურ ვარდისფერ კატეხინებს — 32 მგ %-ს. პანტოთენის მჟავას საკონსერვო საადრეო შეიცავდა 1,1 მგ %-ს, ოქროს იუბილე — 107 მკგ %-ს, ელბერტა — 119 მკგ %-ს და ხიდისთაური ვარდისფერი — 111 მკგ %-ს. ასეთივე კანონზომიერება შეიმჩნევა დანარჩენი ვიტამინების შემცველობაშიც. ამრიგად, ჩვენ: მიერ შესწავლილი ჯიშებიდან ასკორბინის მჟავის შემცველობით გამოირჩევა ოქროს იუბილე, კატეხინების შემცველობით — ხიდისთაური ვარდისფერი და ქლოროგენის მჟავის შემცველობით — ელბერტა.

საერთოდ ჩვენ: მიერ შესწავლილ ჯიშების ნაყოფში ბიოაქტიური ნივთიერებანი შემდეგი რაოდენობით აღმოჩნდა: ასკორბინის მჟავის რაოდენობა მერყეობს 6,6-დან 12,9 მგ %-მდე, P — აქტიური კატეხინების 23,4-დან 41,8 მგ %-მდე, ქლოროგენის მჟავისა — 17,0-დან 27,8 მგ %-მდე, თიამინისა 0,1-დან 0,25 მგ %-მდე, რიბოფლავინის 0,16-დან 0,24 მგ %-მდე, პანტოთენის მჟავისა 90-დან 119 მკგ %-მდე, პირიდოქსინისა 82-დან 95 მკგ %-მდე, ნიკოტინის მჟავისა — 936-დან 1070 მკგ %-მდე, ბიოტინისა 8,7-დან 10,2 მკგ %-მდე და ინოზიტისა 5,7-დან 6,5 მგ %-მდე.

ატმის ნაყოფებში ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობაზე სპეციალურ ლიტერატურაში შედარებით ძუნწი ცნობები მოიპოვება. თუმცა ისინი მაინც ადასტურებენ ჩვენ: მიერ მიღებულ შედეგებს.

მაგალითად ა. ნიქარაძის [10] მონაცემებით საქართველოში გავრცელებული ატმის ჯიშები ვიტამინ C — შეიცავენ 2,80-დან 15,76 მგ %-მდე.

გ. ხოჯუმიაშვილი [15] აღმოაჩინა, რომ მის მიერ შესწავლილი ატმის სომხურ ჯიშებში ქლოროგენის მჟავა და თავისუფალი კატეხინები ყველაზე მეტი იყო საშუალო ნარინჯში (282 მგ %) ქლოროგენის მჟავა და 22,5 მგ % თავისუფალი კატეხინები), ყველაზე ცოტა კი თეთრ ლოშში (225 და 24,4 მგ % შესაბამისად).

ა. ასტაბაციანის მონაცემებით [1] B გჯუფის ვიტამინებს ატმის სომხური ჯიშის ნარინჯის ნაყოფი შემდეგი რაოდენობით შეიცავდა (მილიგრამებით 1 კგ ნედლ ნაყოფზე): მეზო-ინოზიტს — 654,2, ბიოტინს — 0,0039, პანტოთენის მჟავას — 5,76, თიამინს — 0,176, ნიკოტინის მჟავას 10, 28, პირიდოქსინს — 0,737.

ჩვენ: მიერ მიღებული ციფრობრივი მასალა გვიჩვენებს, რომ ერთი და იგივე ჯიშის ნაყოფში, საძირის გავლენით შესამჩნევად იცვლება ბიოაქტიურ ნივთიერებათა რაოდენობა. (ცხრ. 3,4).

მაგალითად P აქტიურ კატეხინებს საკონსერვო საადრეოს ნაყოფებში ყველაზე მეტი რაოდენობით ჰერმისა და ატმის საძირზე ავროვებენა ჯ. შრომები № 2 (124), 1982.



საძირის გავლენა ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობაზე ატმის ნაყოფებში

ჯიშე	საძირე	ასკობინის მჟავა მგ %	P-აქტიური კომპონენტები მგ %			ქლოროგენის მჟავა მგ %
			საერთო	ციტონის მჟავა	ციტონის არ მჟავა	
საქონსურვო საადრეო	ნუში	7,6	29,4	2,0	27,4	18,5
	ჭერამი	5,6	32,8	2,0	29,8	20,0
	ტყემალი	6,2	28,4	13,0	15,3	17,6
	ატამი	7,3	30,0	13,6	16,4	14,8
ოქროს იუბილე	ნუში	13,6	22,6	1,0	21,6	22,0
	ჭერამი	12,1	25,0	1,0	24,0	19,5
	ტყემალი	14,8	26,0	1,5	24,5	12,5
	ატამი	11,1	20,2	1,0	19,2	14,0
ელბერტა	ნუში	12,5	31,4	4,5	27,0	34,0
	ჭერამი	9,3	42,1	8,4	33,7	23,0
	ტყემალი	8,0	23,9	2,2	21,7	23,0
	ატამი	8,6	31,0	5,6	25,4	20,9
ხიდისთაური ვარდისფერი	ნუში	8,5	33,0	3,5	29,5	19,6
	ჭერამი	9,3	39,8	8,3	31,5	21,8
	ტყემალი	14,3	50,1	12,9	57,2	27,5
	ატამი	12,2	44,4	8,1	36,3	20,9

ოქროს იუბილეს ნაყოფები — ტყემლისა და ჭერმის საძირეზე, ელბერტას შემთხვევაში გამოირჩევა ჭერმის საძირე, ხიდისთაურის შემთხვევაში კი კვლავ ტყემალი და ატამი გამოირჩევა.

ქლოროგენის მჟავას საქონსურვო საადრეო ყველაზე მეტი რაოდენობით ჭერმის საძირეზე შეიცავს. შემდეგ ადგილებზე არის ნუშზე და ტყემალზე დამყნობილი მცენარეები. რაც შეეხება ოქროს იუბილეს და ელბერტას, ისინი ყველაზე მეტ ქლოროგენის მჟავას ნუშის საძირეზე შეიცავს, ყველაზე ნაკლებს კი — ატმის საძირეზე. ხიდისთაური ვარდისფერი კი პირიქით, ყველაზე ცოტა ქლოროგენის მჟავას ნუშის საძირეზე შეიცავს, ყველაზე მეტს კი — ტყემლის საძირეზე.

ბ ჯგუფის ვიტამინების შემცველობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ (ცხრ. 4) ჩვენ მიერ შესწავლილი ჯიშები მათ ყველაზე მეტი რაოდენობით კვლავ ჭერმის, ატმისა და ტყემლის საძირეზე აგროვებენ. ამ შემთხვევაში გამოჩნდა წარმოადგენს ინოვაციის, რომლის დაგროვებაშიც რამდენადმე გამოკვეთილია ნუშის საძირის უპირატესობა.



ჯიში	საძირე	თიანის (B ₁) მგ %	რიბოფლავინი (B ₂) მგ %	ბანტოფინის მგ/მ კგ %	პირიდოქსინი (B ₆) მგ %	ნიკოტინის მგ/მ (PP) მგ %	ბიოტინი (H) მგ %	ინოზოტი მგ %
საკონსერვო საადრეო	ნუში	0,30	0,13	80	100	793	9,4	6,8
	ჭერამი	0,07	0,15	96	88	837	8,7	8,2
	ტყეშალი	0,17	0,13	96	94	1161	9,6	4,5
	ატამი	0,19	0,15	88	98	954	9,4	5,3
ოქროს იუბილე	ნუში	0,16	0,10	118	75	886	8,5	6,5
	ჭერამი	0,08	0,12	96	76	1083	8,2	5,7
	ტყეშალი	0,15	0,22	127	97	999	10,3	4,4
	ატამი	0,20	0,20	87	81	989	7,9	6,0
ელბერტი	ნუში	0,13	—	110	94	983	10,2	7,1
	ჭერამი	0,07	0,28	128	112	973	12,0	6,7
	ტყეშალი	0,08	0,30	136	76	1136	10,4	5,9
	ატამი	0,13	0,25	102	82	1191	10,5	6,6
ხედისთაური ვარდისფერა	ნუში	0,10	0,22	115	86	791	10,0	5,7
	ჭერამი	0,37	0,34	126	91	1191	11,0	5,8
	ტყეშალი	0,36	0,28	126	86	902	10,4	5,6
	ატამი	0,19	0,15	80	109	1252	9,7	5,8

დასკვნა

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ შემდეგი:

1. ატმის ნაყოფი შეიცავს ბიოაქტიურ ნივთიერებათა დიდ ჯგუფს, რაც ზრდის მის კვებით და საშეურნეო თვისებებს.
2. საძირის გავლენით ნაყოფში იცვლება ბიოაქტიურ ნივთიერებათა რაოდენობა. ერთი და იგივე ჯიში სხვადასხვა საძირეზე ბიოაქტიურ ნივთიერებათა სხვადასხვა რაოდენობას აგროვებს.
3. ჩვენ მიერ შესწავლილ ჯიშ-საძირეს კომბინაციებიდან P აქტიური კატეხინები ყველაზე მეტი დააგროვეს ხიდისთაურმა ვარდისფერმა ტყეშლის და ატმის საძირეზე, საკონსერვო საადრეომ და ელბერტამ — ჭერამის და ატმის საძირეზე, ოქროს იუბილემ — ტყეშლისა და ჭერამის საძირეზე.

დაახლოებით ასეთივე კანონზომიერებაა შემჩნეული B ჯგუფის ვიტამინების შემცველობაშიც, ოღონდ აქ გამონაკლის წარმოადგენს ინო-

ზიტი, რომელიც თითქმის ყველა ჭიშხე მეტი რაოდენობით შეიცავს ნუშის საძირეზე.


4. ჭიშ-საძირის სხვადასხვა კომბინაციების ნაყოფებზე ნივთიერებათა შემცველობის ასეთი ცვლილებები უნდა მოხდეს, რომ საძირე და სანამყენე ხასიათდება სინთეზისა და ნივთიერებათა ცვლის განსხვავებული თავისებურებებით და თითოეულ მათგანს ახასიათებს მისთვის სპეციფიკურ ნივთიერებათა გამომუშავების უნარი.

5. ბიოაქტიურ ნივთიერებათა შემცველობის მიხედვით სიმწიფის სხვადასხვა პერიოდის ჭიშხების შედარებამ გვიჩვენა, რომ რაც უფრო საგვიანოა ჭიში, მით უფრო მეტ ბიოაქტიურ ნივთიერებებს შეიცავს მისი ნაყოფი. ჩვენ შემთხვევაში ბიოაქტიურ ნივთიერებათა ყველაზე ნაკლებ რაოდენობას შეიცავდა საკონსერვო საადრეო, ყველაზე მეტს კი — ელზერტა და ხიდისთაური ვარდისფერი, ოქროს იუბილეს მათ შორის გარდამავალი ადგილი უკავია.

6. ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ჭიშხები სხვადასხვა საძირეზე ბიოაქტიურ ნივთიერებათა სხვადასხვა რაოდენობას აგროვებენ საფუძველს ევაძლევს დავასკვნათ, რომ პროდუქციის რაოდენობის და ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ცალკეული ჭიშისათვის ან მსგავს ჭიშთა გულისათვის საძირეები შეირჩეს დიფერენცირებულად.

ლიტერატურა — Литература

1. Г. Л. Астабациян. Витамины группы «В» в плодах персика при хранении. Персик/сб. материалов науч. конференции по персику) Ер. 1977.
2. Л. И. Вигоров. Тр. II Всесоюзного семинара по биологическим активным в-вам. Мичуринск, 1964.
3. М. Г. Вардзелашвили, Н. И. Магалашвили, Динамика накопления сухого вещества и сахаров в плодах персика в зависимости от подвоя. Тр. НИИСВиВ ГССР, т. 27, Тбилиси. 1980.
4. М. Г. Вардзелашвили, Н. И. Магалашвили — Влияние подвоя на содержание свободных аминокислот в плодах персика в предгорной зоне Восточной Грузии. Тр. Груз. СХИ, т. 119, Тбилиси, 1981.
5. Т. Т. Гачечиладзе. Мат. III симпозиума по фериольным соединениям, 139, Тбилиси, 1976.
6. А. И. Ермаков и др. Методы биохимического исследования растений. Л., 1952.

- 
7. М. Н. Запрометов. Витамины Р и его применение. Витаминные ресурсы и их использование, т. 4, 1959.
 8. И. В. Каимакап. Изменчивость биологических признаков группы под влиянием подвоя, Кишинев, 1977.
 9. Е. Н. Одинцова. Микробиологические методы определения витаминов, М., 1959.
 10. А. Н. Нижарадзе. Плоды Грузии и их промышленное использование. М., 1971.
 11. И. С. Скрипка. Изменение химического состава плодов сливы под влиянием подвоя. «Углеводсодержащие соединения сочных плодов и их обмен». Кишинев, 1978.
 12. В. Г. Спернанский. Товароведение свежих плодов и овощей. М., 1967.
 13. А. И. Татаринков. Влияние подвоев на качество плодов яблони и груши. «Садоводство, виноградарство и виноделие Молдавии», № 3, 1975.
 14. А. Я. Трибунская. Т. IV Всесоюзного семинара по биологически активным в-вам. Свердловск, 1972.
 15. Г. Л. Ходжумян. Хлорогеновая кислота и свободные катехины плодов персика при дифростации. Персик (сб. материалов науч. конференции по персику) Ереван, 1977.

მ. ჯიშელაშვილი,

ნიადაგის სიღრმის გავლენა ვაშლის ფესვთა სისტემის ფორმირებაზე
სამხრეთ საქართველოს მთიან ზონაში

ფესვთა სისტემა ხეხილის ძირითადი ორგანოა, რომლის განვითარებასა და კვებით უზარჩანლობაზე დამოკიდებული მიწისზედა ნაწილების როგორც ზრდა-განვითარება, ისე ხის მოსავლიანობა.

ხეხილის ფესვების განვითარების სიძლიერესა და არქიტექტონიკაზე მრავალ ფაქტორთან ერთად გავლენას ახდენს ნიადაგის ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, ნიადაგში წყლისა და საკვებ ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი შემცველობა, ნიადაგის ცალკეული პორიზონტების სიღრმე და სხვ.

მეხილეობის ცალკეული ზონებისათვის ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით ხეხილის ბაღებში ნიადაგის მოვლის სწორი აგროტექნიკური სისტემა რომ შევიმუშაოთ, კარგად უნდა ვიცოდეთ კულტურებისა და ჭიშების მიხედვით მოცემულ კონკრეტულ პირობებში ფესვთა სისტემის პორიზონტალური და ვერტიკალური გავრცელების საზღვრები.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეცნიერთა მიერ ხეხილის ფესვთა სისტემის განვითარების შესწავლასთან დაკავშირებით მეტად ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული, ხეხილის ჭიშებისა და ნიადაგების ტიპების მიხედვით იგი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი, მითუმეტეს, რესპუბლიკის მთიან რაიონებში. აქედან გამომდინარე მიზანდარღვევით შეგვესწავლა სრულმოსავლიანობაში შესული ვაშლის ხის ფესვთა სისტემის არქიტექტონიკა სამხრეთ საქართველოს მთიან ზონაში.

გამოკვლევები ჩატარდა 1969 წ. ახალციხის რაიონის დაბა ვალეს კოლმეურნეობის ხეხილის ბაღში მდელოს ალუვიურ, უკარბონატო, რიყნარ ნაფენებზე განვითარებულ, საშუალო სისქის სარწყავ ნიადაგებზე, რომელიც ზღვის დონიდან 1000 მ-ზე მდებარეობს, კვების არე 8 X 8 მ ნიადაგი დაკორდებული იყო მუდმივად ბუნებრივად მოზარდი ბალახებით.

ხეხილის ვარჯის მოვლის ღონისძიებებიდან სხვლა და წაშლილი ტარდებოდა აგროწესების შესაბამისად. ხეხილის ნარგავობა სავეგეტაციური პერიოდში ირწყვებოდა საჭიროების მიხედვით.

საცდელი ნაკვეთის ნიადაგი საშუალო თიხნარია. შემადგენელი ნივთიერებების შემცველობა ($< 0,01$ მმ) შემცველობა 22,7%-დან 40,9%-მდე მერყეობს. ჰუმუსის შემცველობა 0—20 სმ სიღრმეში 5,13%-ია. სიღრმეში მისი რაოდენობა საგრძნობლად მცირდება და 40—60 სმ ფენაში იგი 1,7%-ს შეადგენს.

საერთო N-ის, P_2O_5 -ის, K_2O -ის და $CaCO_3$ რაოდენობა ნიადაგის ფენების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა: 0—20 სმ სიღრმეში N 0,237%-მდეა. 20—40 სმ-ზე — 0,211%, 40—60 სმ სიღრმეში კი 0,198%. საერთო P_2O_5 -ის რაოდენობა 0—20 სმ სიღრმეში 1,35%-მდეა, 20—40 სმ-ზე 1,109%. 40—60 სმ ფენაში კი — 0,96%. K_2O -ს შემცველობა 0—20 სმ სიღრმეში 80,2%-ს შეადგენს. 20—40 სმ სიღრმეში 38,6%-ს, 40—60 სიღრმეში კი 21,4%-ს. $CaCO_3$ -ის რაოდენობა ნიადაგის როგორც ზედა, ისე ქვედა ფენებში საგრძნობლად მცირეა (1,77—4,18%).

ვაშლის ფესვთა სისტემის არქიტექტონიკა შევისწავლეთ ჩონჩხის მეთოდით. გათხრები ჩატარდა ჯიმ შამპანური რენეტის სრულმოსავლიან ხეებზე, ფესვების გავრცელების მთელ ფართზე, შტამბიდან ყოველი ერთი მეტრის რადიუსის და 20 სმ სიღრმის მონაკვეთებით. ითხრებოდა მხოლოდ ხის ნახევარი, ორი ერთიმეორის, საწინააღმდეგო სექტორი. გათხრების დროს ფესვები იხატებოდა სათანადო მასშტაბის დაცვით მილიმეტრიან ქაღალდზე.

გარდა ფესვთა სისტემის განვითარებისა, შევისწავლეთ აგრეთვე ამავ ხეების შტამბისა და ვარჯის დიამეტრი, ხის სიმაღლე, წლიური ნაზარდის საშუალო სიგრძე და მოსავლიანობა.

1-ლი ხის სიმაღლე უდრიდა 3,4 მ-ს, შტამბის დიამეტრი — 19,6 სმ-ს, ვარჯის დიამეტრი — 4,6 მ-ს, წლიური ნაზარდის საშუალო სიგრძე — 18 სმ, მოსავალი — 108 კგ.

მე-2 ხის სიმაღლე შეადგენდა 3,9 მ-ს, შტამბის დიამეტრი — 25 სმ. ვარჯის დიამეტრი — 4,8 მ-ს, წლიური ნაზარდის საშუალო სიგრძე — 21 სმ-ს, მოსავალი — 94 კგ-ს.

შამპანური რენეტის ფესვთა სისტემის ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად განვითარების მაჩვენებლები მოცემულია 1-ლ და მე-2 ცხრილში.

საქართველოს სსრ-ის (საბჭოთა) მთავრობის
 ფინანსების მინისტრის განკარგულებაში
 I სექტორი



დასახელება	2000 წლის ფინანსების საზღვარი		ფინანსების სრულყოფის პერიოდები						2000 წლის ფინანსების ნარჩენი		ფინანსების განხორციელების პერიოდები					
			3 30		3-1 30		1 30				3 30		3-1 30		1 30	
	სა	%	სა	%	სა	%	სა	%	სა	%	სა	%	სა	%	სა	%
0-20	93184	19,3	4166	4,4	6745	7,3	82243	85,3	1978	12,5	970	81,8	301	26,6	407	21,6
20-40	291300	60,2	12474	4,2	18786	6,5	260040	89,3	12552	82,0	10451	83,3	1352	10,7	479	6,0
40-60	99203	20,5	3058	3,1	9468	9,7	86479	87,2	871	5,7	344	39,0	262	30,7	265	30,3
0-60	483687	100	19698		35199		428762		18301	100	11765		2115		1421	
III სექტორი																
0-20	109117	26,3	2279	2,0	3739	5,5	100879	92,5	3500	21,5	1730	49,4	1033	29,2	747	21,4
20-40	237581	57,4	4575	1,9	10157	4,3	22280	9,5	10865	16,5	6936	63,9	1948	17,9	1981	18,2
40-60	67262	16,3	1380	2,1	2753	4,1	63829	93,8	1959	12,2	1112	56,8	430	21,9	417	21,3
0-60	413960	100	8234		16849		386927		16324	100	9778		3401		3145	

საქართველოს სსრ-ის (კ/მ-ის) შპს-ების რეკონსტრუქციის ფასების სისტემის
 პარამეტრული განმარტება



ფასების განყოფანება სექტორების მიხედვით სიღრმეში		ფასების განყოფანება სს შტაბისთან დაკავშირებული სიღრმეში რეკონსტრუქციის მიხედვით								
		0-100 სმ	100-200 სმ	200-300 სმ	300-400 სმ	400-500 სმ	500-600 სმ	600-700 სმ	700-800 სმ	800-900 სმ
I სექტორი	ფასების სიღრმე 0-60 სმ სიღრმეში (მ-ით)	45660	57242	69449	98758	100903	52982	40359	15115	48339
	ფასების სიღრმე 0-60 სმ სიღრმეში (%-ით)	9,6	12,3	14,4	20,5	20,7	10,9	8,3	3,1	100
	ფასების წილი 0-60 სმ სიღრმეში (კ-ით)	5512	4549	1476	1425	1304	336	326	173	15301
	ფასების წილი 0-60 სმ სიღრმეში (%-ით)	36,1	29,8	9,6	9,3	6,5	3,5	3,1	1,1	100
III სექტორი	ფასების სიღრმე 0-60 სმ სიღრმეში (მ-ით)	32350	65379	67434	84583	68259	52667	26875	12511	413960
	ფასების სიღრმე 0-60 სმ სიღრმეში (%-ით)	7,8	15,8	16,3	20,9	16,5	12,8	6,7	3,0	100
	ფასების წილი 0-60 სმ სიღრმეში (კ-ით)	5028	4800	2679	1183	1160	1032	385	97	16324
	ფასების წილი 0-60 სმ სიღრმეში (%-ით)	30,8	29,4	16,5	7,3	7,2	6,4	2,3	0,3	100

როგორც აქედან ჩანს, ვერტიკალური მიმართულებით ფესვთა სის-
ტემა 60 სმ-მდე გავრცელდა ე. ი. ნიადაგის მთელ სიღრმეზე; 60 სმ-ზე
ქვევით, სადაც სუფთა ბიენარ-ხრეშიანი ფენები იყო, ფესვები საერთოდ
არ განვითარდა.

ერყენული

I-ელ სექტორში ყველა ფრაქციის ფესვების სიგრძე — 4139,6 მმ, ე. ი. 41,39 მ-ს
და, III სექტორში კი — 4139,6 მმ, ე. ი. 696,9 მ-ით ნაკლებს, ვიდრე I-ელ
სექტორში იყო.

ნიადაგის ჰორიზონტების მიხედვით ფესვები გავრცელებული იყო
I-ელ სექტორში — 0—20 სმ-ზე — 19,3%, 20—40 სმ-ზე — 60,2%, ხო-
ლო 40—60 სმ-ზე — 20,5%.

III სექტორში შესაბამისად ფესვების სიგრძე შეადგენდა: 26,3%-ს,
57,4%-სა და 16,3%-ს.

როგორც აქედან ჩანს, ფესვები ზედა ფენაში (0—20 სმ) საკმაოდ
დიდი რაოდენობითაა, რაც გამოწვეული იყო მუდმივი დაკორდებისა ნი-
ადაგის დაუმუშავებლად დაროვებით, რამაც ფესვები განადგურებას გა-
დაარჩინა. მეორე ფენაში ორჯერ მეტი ფესვები გავრცელდა, ვიდრე პირ-
ველ და მესამე ფენებში.

საინტერესოა ფესვების გავრცელების მონაცემები ცალკეული ფრაქ-
ციების მიხედვითაც. 0—20 სმ სიღრმეში გავრცელებული ჩონჩხის ფეს-
ვების (> 3 მმ) სიგრძე სექტორების მიხედვით 2,0—4,4%-ს შეადგენს.
ნახევრად ჩონჩხის (3—1 მმ) ფესვებისა 5,3—7,3%-ს. შემწოვი ფესვების
სიგრძე კი 88,3—92,5%-ის ფარგლებში მერყეობს.

ნიადაგის 20—40 სმ ფენაში ჩონჩხის ფესვების სიგრძემ 1,9—4,2%
შეადგინა. ნახევრად ჩონჩხის ფესვებისა — 4,3—6,5%. შემწოვი ფესვების
სიგრძე კი — 89,3 — 93,8%.

თითქმის ასეთივე რაოდენობითაა გავრცელებული ფრაქციების მი-
ხედვით ფესვები ნიადაგის მესამე (40—60 სმ) ფენაშიც, სადაც ჩონჩხის
ფესვების სიგრძე 2,1—3,1%-ს, ხოლო ნახევრად ჩონჩხის ფესვების სი-
გრძე 4,1—9,7%-ს არ აღემატება. შემწოვი ფესვების სიგრძე კი — 87,2—
93,8%-ს შეადგენს.

საინტერესოა სურათს იძლევა აგრეთვე სექტორების მიხედვით ფეს-
ვების ვერტიკალურად გავრცელების წონითი მაჩვენებლებიც.

I-ელ სექტორში გავრცელებული ყველა ფრაქციის ფესვების რაოდენ-
ობა 15301 გ-ს უდრიდა. III სექტორში — 16324 გ-ს.

ფესვების წონის 12,3—21,3% გავრცელებულია 0—20 სმ ფენაში,
66,5—82,0% — 20—40 სმ-ში, ხოლო 5,7—12,2% — ნიადაგის 40—60
სმ ფენაში.

როგორც აქედან ჩანს, ნიადაგის პირველ ორ ფენაში გავრცელებუ-
ლია ფესვების წონითი რაოდენობის 87,8—94,3%, 40—60 სიღრმეში კი —
5,7—12,2%.

ფრაქციების მიხედვით ფესვების წონითი რაოდენობა ასეთ სურათს

იძლევა: ჩონჩხის ფესვები სექტორების მიხედვით პირველ ფენაში 49,4—51,8%-ს შეადგენს, მეორე ფენაში — 63,9—83,3%-ს, მესამე ფენაში კი მისი რაოდენობა 39,0—56,8%-ის ფარგლებშია. ნახევრად ჩონჩხის ფესვების სიგრძე პირველ ფენაში—26,6—29,2 %-ს, შეადგენს მეორე ფენაში—17,9 %, ხოლო მესამე ფენაში—21,9—30,7 %-ს. მესამე ფენაში ფესვების 21,4—21,6% გავრცელებულია ნიადაგის პირველ, — 6,0—18,2% მეორე, ხოლო 21,3—30,3% — მესამე ფენაში.

მეტად მნიშვნელოვანია პრაქტიკული თვალსაზრისით ფესვების პორიზონტალური გავრცელება.

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, აღნიშნული ტიპის ნიადაგში მსხმოიარე ვაშლის ხეების ფესვები, როგორც პირველ, ისე მე-2 სექტორში შტამბიდან 800 სმ რადიუსზე გავრცელდა. ე. ი. ფესვთა სისტემის გავრცელების დიამეტრი 1601 სმ-ს უდრიდა.

ფესვთა სისტემის ძირითადი მასა (ფესვების სიგრძის 77,3—77,7% და წონის 91,2—92,3%) შტამბიდან 500 სმ რადიუსზე გავრცელდა. ფესვების მცირე რაოდენობა კი — სიგრძის 22,3—22,7% და წონის 7,7—8,8%) 500-დან 800 სმ რადიუსზე.

ამრიგად, სამხრეთ საქართველოს მთიან ზონაში (ახალციხის რაიონი) მდელოს ალუვიურ რიყნარ ნაფენებზე განვითარებულ საშუალო სიღრმის, საშუალო თიხნარ ნიადაგებზე სრულმოსავლიან ვაშლის (ჯიში „მამპანური რენეტი“) ფესვთა სისტემა ვერტიკალური მიმართულებით გავრცელდა 60 სმ-მდე. ფესვების ძირითადი მასა—გავრცელდა 0—20 და 20—40 სმ ფენებში, ფესვების მცირე რაოდენობა 40—60 სმ ფენებში.

60 სმ-ზე ქვემოთ, სადაც მხოლოდ რიყნარ-ზრეშიანი ფენებია, ფესვების არარსებობა გამოწვეულია ერთი მხრივ მცენარისათვის საკვების ძალზე უმნიშვნელო რაოდენობის არსებობით, ხოლო მეორეს მხრივ გაზაფხულობით მდინარე ფოცხოვის აღიდებისას ზედა ფენებისაკენ გრუნტის წყლის გადმონაცვლებით და მასთან დაკავშირებით ფესვების განვითარებისათვის არახელსაყრელი პირობების შექმნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღნიშნული ფართობი მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს ნაგალა საძირებზე დამყნილი ვაშლის ინტენსიური ბაღების გასაშენებლად, რომელთაც ბუნებრივად ახასიათებთ მკვებავი ფესვების ნიადაგის ზედა პორიზონტებში გავრცელება. ასეთ ნიადაგებზე მიზანშეწონილია აგრეთვე გაშენდეს სპურის ვაშლის ჭიშებიც.

ლიტერატურა — Литература

1. საქართველოს მეხილეობა, ტ. II, 1970.
2. Плодоводство под ред. В. А. Колесникова, М., «Колос», 1979.
3. С. С. Рубин. Содержание почвы в садах. М., «Колос». 1967.



УДК 664.857

შ. ხაბიაშვილი, თ. ვალუაქიძე

**ბერძნული კაკლის საკონსერვო ნედლეულის გადახარისხების
ობიექტური მეთოდის შემუშავება**

ბერძნული კაკლის ნაყოფები რძისებრი სიმწიფის სტადიაში საქართველოს საკონსერვო მრეწველობისათვის უნიკალურ ნედლეულს წარმოადგენს. ბერძნული კაკლისაგან საკონსერვო ქარხნები ამზადებენ კაკლის მურაბას, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ. საქართველოს საკონსერვო ქარხნების მიერ გამოშვებული ამ საკონსერვო პროდუქციის 80%-ზე მეტი საექსპორტოდაა განკუთვნილი. კაკლის მურაბის მოსამზადებლად გამოიყენება ბერძნული კაკლის ნაყოფები რძისებრი სიმწიფის სტადიაში; გარჭოვანებული ნაყოფების გამოყენება დაუშვებელია, რადგან ამ დროს მთელი პროდუქცია არასტანდარტული მიიღება. დღეისათვის საკონსერვო მრეწველობას არ გააჩნია ბერძნული კაკლის ნაყოფების გადახარისხების ობიექტური მეთოდი, რის გამოც საკონსერვო ქარხნებში დახარისხების დროს დამზადებული ნედლეულის თითქმის ნახევარი წუნდება და ნადგურდება. საქართველოს სსრ-ში კაკლის მოსავალი შეზღუდულია კაკლის ხის პლანტაციების სიმცირის გამო. ბერძნული კაკლის ნაყოფების გადახარისხების ობიექტური მეთოდის გამოძებნა საშუალებას მოგვცემს წინასწარვე განისაზღვროს კაკლის ნაყოფების ვარგისიანობა საკონსერვო ქარხნებისათვის, რაც ამ ძვირფასი ნედლეულის დიდ ნაწილს განადგურებისაგან გადაარჩენს. აქედან გამომდინარე, ბერძნული კაკლის საკონსერვო ნედლეულის გადახარისხების ობიექტური მეთოდის დამუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

თემის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, სანედლეულო ბაზარში ნიმუშების აღებისათვის შერჩეული იქნა დუშეთის რაიონი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ზონაში მდებარეობს. ნიმუშების აღება ხდება გამონასკვიდან მოყოლებული სხვადასხვა კალენდარულ ვადებში ერთი და იგივე მონიშნულ მცენარეებზე.

მცენარეთა ვერტიკალური გადაცილების სხვადასხვა ექსპონირების უზრუნველყოფის მიზნით ნიმუშები შემოიზიდა სოფელ ფასანურიდან (1000 მ ზღვის დონიდან), აგრეთვე დიღმის სასწავლო-სამეცნიერო ნაგებობიდან (ზღვის დონიდან 480 მ).

ნახევარფაბრიკატისა და მზა პროდუქციის მომზადების ტექნოლოგიური პროცესის სქემაში ყველაზე პასუხსაგები ოპერაციაა დახარისხება, ამ ოპერაციის დროს უნდა გამოირჩეს გარქოვანებული ნაწილების მქონე ნაყოფები, რადგან მათი მოხვედრა მზა პროდუქციაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მთელი პარტიის წუნდებას გამოიწვევს, ჩვენ მიზნად დავისახეთ — ბერძნული კაკლის ნაყოფების გადახარისხებისათვის გამოგვეყენებინა მარილხსნარის სხვადასხვა კონცენტრაციების ხსნარში მათი ხვედრითი წონის მიხედვით დახარისხების მეთოდი. ამისათვის გამოვიყენეთ 0,5; 1,0; 1,5; 2,0; 2,5; 3,0; 4,0; 5,0; 6,0%-იანი მარილხსნარები, რომლებიც სუფრის მარილზე იყო დამზადებული.

ნიმუშების დახარისხება ტარდებოდა შემდეგნაირად: ნიმუშებს თავდაპირველად ვუშვებდით ყველაზე დაბალი კონცენტრაციის ხსნარში (0,5%), შემდეგ კი ხელმეორე გადახარისხება ხდებოდა უფრო მაღალი კონცენტრაციების ხსნარებში. 0,5; 1,0; 1,5%-იან ხსნარების გამოყენებამ დახარისხების ეფექტი არ მოგვცა, რადგან ამ კონცენტრაციების ხსნარებში ყველა ნიმუშში ჩაიძირა ყველა ეგზემპლარი. 2,0%-იანი მარილხსნარის გამოყენებისას მოხდა დიფერენციაკოა: ზოგი ეგზემპლარი ჩაიძირა, ზოგი კი ტივტივებდა. მაგალითად: დუშეთის რაიონიდან 1979 წ. აღებულ ნიმუშებში 2%-იან მარილხსნარში დახარისხებამ ასეთი სურათი მოგვცა: 6 იენისს მოკრეფილი ნაყოფების 40% ტივტივებს, 60% — იძირება, ხოლო 15/VI ჩვეულებრივ მოკრეფილ ნიმუშებში 70% ტივტივებდა და 30% — იძირებოდა. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას ნაყოფის ფორმისა და მოცულობის შეცვლით, რაც ნაყოფების ხვედრითი წონის შეცვლას იწვევს. იმის გამო, რომ 2%-იან ხსნარში ყველა ნიმუშში დახარისხების სასურველი ეფექტი არ მოგვცა, გამოვცადეთ 2,5%-იანი მარილხსნარი. აღსანიშნავია, რომ ყოველი გადახარისხების შემდეგ ნაყოფების გარკვეული რაოდენობა იჭრებოდა და ვიზუალურად დგინდებოდა მათი ვარგისიანობა ვადამუშავებისათვის (გარქოვანებული ნაწილების არსებობა). 2,0%-იან მარილხსნარში გადახარისხებული ნიმუშები ხელმეორედ გადაეხარისხეთ 2,5%-იან ხსნარში, აქაც ზოგი ეგზემპლარი ჩაიძირა, ზოგი კი ტივტივებდა, ე. ი. მოხდა ხელმეორე გადახარისხება. ამის შემდეგ გამოიცადა 3%-იანი მარილხსნარი. ასეთი კონცენტრაციის მარილხსნარში ყველა ნიმუშის ნაყოფები ტივტივებს. 2,5%-იან მარილხსნარში ჩაძირული ეგზემპლარების 90% უვარგისი აღმოჩნდა ვადამუშავებლად, რადგან გარქოვანებული ნაწილები აღმოაჩნდათ.

როგორც ექსპერიმენტის შედეგებმა ცხადყო, დახარისხებისათვის 1,5%-იანი მარილხსნარის გამოყენება არ შეიძლება, რადგან მასში ყველა ეგზემპლარი ჩაიძირა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მსარევე მსარევე ვისია. ასევე მიუღებელია 3,0%-იანი მარილხსნარის გამოყენება მასში ყველა ნაყოფი ტივტივებს. ექსპერიმენტის სიზუსტისათვის მოვალდინეთ ნიმუშების ხელშეორე გადახარისხება ჩაძირულ ეგზემპლარების აწონვითა და მათი შემდგომი შემოწმებით ვარგისიანობაზე, ქვემოთ მოგვყავს ექსპერიმენტის შედეგები:

დუშეთის რაიონიდან 15/VI-ს შემოზიდული დიდი მოცულობის ნიმუშები გადავხარისხეთ 2,5%-იან ხსნარში.

ტივტივებს — 1526 გ, ე. ი. 88,3%;

ჩაიძირა — 523 გ, ე. ი. 11,7%.

გორის საკონსერვო ქარხნიდან ჩამოტანილი, უკვე მოსახარშად გამოზადებული ნახევარფაბრიკატი, დავხარისხეთ 2,0%-იან მარილხსნარში, რადგან 3,0% ხსნარში ყველა ტივტივებდა, ასევე 2,5%-იან ხსნარში იტივტივა მხოლოდ ერთმა ეგზემპლარმა, რამაც გვაიძულა ეს ძალზე დიდი მოცულობის ნიმუშები გადაგვეხარისხებინა 2,0%-იან ხსნარში:

ჩაიძირა — 425 გ, ე. ი. 14,66%;

ტივტივებს — 2470 გ, ე. ი. 85,32%.

ჩაძირული ნიმუშების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა გარქოვანებულია.

1980 წლის ნიმუშებში გადახარისხების ობიექტური მეთოდის გამოყენებამ იგივე შედეგები მოგვცა, რაც 1979 წლის ნიმუშებში. კერძოდ, დუშეთის რაიონის სოფ. მისაქციელის მიმდებარე ტერიტორიიდან აღებული ნიმუშების 2,0%-იან მარილხსნარში გადახარისხებამ გვიჩვენა, რომ 65% ეგზემპლარებისა ტივტივებდა, ხოლო — 35% — ჩაიძირა. ნაყოფების შემდგომმა გადახარისხებამ 2,5%-იან მარილხსნარში დაადასტურა წინა წელს მიღებული შედეგების სისწორე — ჩაძირული ეგზემპლარების 98,0%-ს აღმოაჩნდა გარქოვანებული ნაწილები, რომლებიც შემდგომი გადამუშავებისათვის უვარგისი არიან. ისევე, როგორც წინა წელს, სხვა კონცენტრაციის მარილხსნარების გამოყენება გადახარისხების სასურველ ეფექტს არ იძლევა. გადახარისხების შედეგად გადამუშავებისათვის ვარგისი ეგზემპლარებისაგან მოქმედი ტექნოლოგიური ინსტრუქციის შესაბამისად მომზადდა მზა პროდუქცია — კაკლის მურაბა, რომელშიც დეგუსტაციური შეფასების გზით დადგინდა ცალკეული ნაყოფების ვარგისიანობა.

მზა პროდუქციის ნიმუშები წარმოდგენილ იქნა სადეგუსტაციო კომისიის სხდომაზე დეგუსტაციური შეფასებისათვის. სადეგუსტაციო შეფასების შედეგებმა დაადასტურა გადახარისხების შემუშავებული მეთოდის ეფექტურობა. კერძოდ, არც ერთ ნიმუშში, რომლებიც მომზადე-



ბული იყო 2,0 და 2,5%-იან მარილხსნარში გადახარისხებულ ნაწილებზე
 საგან, არც ერთი ცალი გარქოვანების მქონე ნაყოფი არ აღმოჩნდა სა-
 დეგუსტაციო კომისიამ დადებითი შეფასება მისცა ბერძნული კაკლის სა-
 კონსერვო ნედლეულის გადახარისხების ობიექტურ მეთოდს.

ჩატარებული ექსპერიმენტების შედეგების გაანალიზების შედეგად
 შეიძლება დავასკვნათ, რომ ბერძნული კაკლის საკონსერვო ნედლეულის
 გადახარისხება ქარხანაში უნდა მოხდეს 2 საფეხურად: შემოზიდული ნი-
 მუშები ჯერ უნდა გატარდეს 2,0% მარილხსნარში, ხოლო ის ეგზემპლარ-
 რები, რომლებიც ჩაიძირა ამ კონცენტრაციის ხსნარში, ხელმეორედ გა-
 ტარდეს 2,5%-იან ხსნარში. 2,5% მარილხსნარში ჩაძირული ნიმუშები
 უნდა ჩაითვალოს გადამუშავებისათვის უვარგისად.

ყველა ვარიანტიდან მოქმედი ტექნოლოგიური ინსტრუქციისა და
 რეცეპტურის დაცვით მომზადებულია მზა პროდუქცია — კაკლის მურაბა,
 რომელიც წარედგინა სადეგუსტაციო კომისიას შეფასებისათვის. 2,5%-
 იან მარილხსნარში გადახარისხებული ნედლეულიდან მომზადებული მუ-
 რაბის ნიმუშების სადეგუსტაციო შეფასებამ დაადასტურა, შემუშავებუ-
 ლი რეჟიმის ეფექტურობა — მზა პროდუქციაში გარქოვანებული ნაწი-
 ლების მქონე არც ერთი ეგზემპლარი არ აღმოჩნდა.



УДК. 634.15.16.

ბ. კიზირია

აღმოსავლეთ საქართველოში მთიან და მთისწინა ზონაში მოზარდი
ზღმარტლის ზომიერადი ჯიშური შრომის ნაყოფის ბაქნო-ქიმიური
მანიპულაცია

სსრკ-ის კომუნისტური პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყუ-
რადღებას აქცევენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და
გამოყენების ორგანიზაციის საკითხს. ამის მიუხედავად უკანასკნელ წლე-
ბში მეტად შემცირდა გადაამუშავებულ წარმოებებში ჩასაბარებელი
ნედლეულის ასორტიმენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ველურად მო-
ზარდ მცენარეთა ნედლეულის დამზადებისა და გამოყენების ძლიერ და-
ბალი დონე. უკრაინის ქვეტყის ზოლში გავრცელებული ველურად მო-
ზარდი კენკრის მარაგის მხოლოდ 17—20% გამოიყენება გადაამუშავებ-
ლად. საქართველოს სსრ-ის გადაამუშავებელი ქარხნების მიერ კი ვე-
ლურად მოზარდი მცენარეთა ნედლეულის გამოყენება შეზღუდულად
წარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში ის წარმოადგენს
ღირსშესანიშნავ ნედლეულს.

ხილის საერთო მოსავლის გადიდებისა და გადაამუშავებელი წარმო-
ებების უკეთ მომარაგების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ველურად
მოზარდი ხილის ახალი რესურსების გამოვლენას. ველურად მოზარდი
ხეხილის ნაყოფების ფართოდ გამოყენება განაპირობებს მოსახლეობისა
და გადაამუშავებელ წარმოების დამატებითი ნედლეულით მომარაგებას.

სხვა კულტურებთან ერთად საქართველოს მთიან ზონაში წარმატე-
ბით შეიძლება გავრცელდეს ზღმარტლის კულტურა. ამჟამად როდესაც
გადაუდებელ ამოცანად დასახულია მთიანი რაიონების ეკონომიკური აღ-
მავლობის უზრუნველყოფა, ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიკური პი-
რობები გამოყენებულ უნდა იქნას რაციონალურად, ამიტომ გასაერცე-
ლებლად რეკომენდებულ უნდა იქნას ზღმარტლის მხოლოდ ისეთი ჯიშუ-



რი ფორმები, რომლებიც იძლევა მაღალი გემური, ტექნიკურ-ქიმიური და ტექნოლოგიური მაჩვენებლების მქონე ნაყოფებს.

ცდისა და დაკვირვების ობიექტად შერჩეული იყო ზღმარტლის ველურ ნის ანანურის სატყეო მეურნეობაში გავრცელებული ზღმარტლის ველური ჯიშური ფორმის და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მუხრანის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ხილის ბაღში გავრცელებული ზღმარტლის ორი კულტურული ჯიშური ფორმის — მსხლისებრი-სა და მსხვილნაყოფას ნაყოფები.

ცდები და დაკვირვება ტარდებოდა 2 წლის განმავლობაში, ნედლეულის კრეფა ჩატარდა 1979 წელს 23—28 ნოემბერს და 1980 წელს 10—12 ნოემბერს. ზღმარტლის ნაყოფების ტექნიკურ-ქიმიური, ორგანოლექტიკური და ტექნოლოგიური მაჩვენებლები დადგენილი იყო ნაყოფების როგორც ტექნიკური ან საკრეფი, ასევე სრული სიმწიფის პერიოდში.

ქვემოთ (ცხრილი 1) მოყვანილია სხვადასხვა ჯიშური ფორმის ზღმარტლის ნაყოფების ორგანოლექტიკური მაჩვენებლები.

ცხრილი 1

სხვადასხვა ჯიშური ფორმის ზღმარტლის ნაყოფების ორგანოლექტიკური მაჩვენებლები (ორი წლის მონაცემების საშუალო)

ჯიშო	სიმწიფე	ფორმა	რბილობის კონსისტენცია	წენაობა	გვემური შეფასება		საერთო მშენებლობა
					ორგანოლექტიკური	ბაღში	
ველური	ტექნიკური	მრგვალი	უხეშა	ღაბალი	უგვემური-მწკარტე და შეეეე	2,15	2,25
	სრული	„—“	ოდნაე ნაზი	ნაკლებ წენიანი	საშუალოდ ტკბილი	3,10	3,10
მსხლისებრი	ტექნიკური	წაგრძელბული	მოუხეშო	საშუალო წენიანი	ნაკლებ ტკბილი	3,65	3,65
	სრული		ნაზი	წენიანი	ტკბილი	4,90	4,90
მსხვილნაყოფა	საკრეფი	მომრგვალო	ოდნაე ნაზი	ნაკლებ წენიანი	ნაკლებ ტკბილი	2,90	2,30
	სრული	ოდნაე მობრტყო	ძლიერ რბილი	წენიანი	ტკბილი	3,90	3,62

ჩვენ მიერ შესწავლილი ზღმარტლის სხვადასხვა ჯიშური ფორმებიდან ყველაზე ადრე მწიფდება მსხვილნაყოფა: მოსავალი აღებული იყო 6. შრომები, № 2 (124), 1982.

ნოემბრის თვეში, ამ პერიოდისათვის მსხვილნაყოფა თითქმის მწიფე იყო. ველური ჭიშური ფორმის ნაყოფები იყო დაუმწიფებელი. მკვლევარ კონსისტენციის, მსხლისებურიც არ იყო სრულ სიმწიფეში. **ტექნიკური** ნაყოფებთან შედარებით უფრო ნაზი კონსისტენცია **ტექნიკური** გორც ნაყოფების ორგანოლექტიკური შეფასებიდან ჩანს, ყველა მაჩვენებლების მიხედვით ყველაზე მაღალი შეფასება სიმწიფის ორივე სტადიის მიხედვით დაიმსახურა ჭიშური ფორმა მსხლისებურის ნაყოფებმა, განსაკუთრებით მაღალი (4,9) შეფასება დაიმსახურა მწიფე ნაყოფმა. ყველაზე დაბალი ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით გამოირჩევა ველური ჭიშური ფორმის ნაყოფები, განსაკუთრებით დაუმწიფებელ მდგომარეობაში ის სავსებით უფარგისია, გემოთი მკავეა და უშუალოდ საქმელად არ გამოდგება.

მსხვილნაყოფა ჭიშური ფორმის ნაყოფებს ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით ამ ორ ჭიშურ ფორმის ნაყოფებს შორის საშუალო ადგილი უჭირავს.

ტექნიკურ სიმწიფის სტადიაში უშუალოდ საქმელად შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ მსხლისებურის ნაყოფები.

სამივე ჭიშური ფორმის ნაყოფები ტექნიკური სიმწიფეში მოყვითალო ფერისაა, სრულ სიმწიფეში კი — როგორც კანი, ასევე რბილობი მუქი ყავისფერია.

გარდა ორგანოლექტიკური მაჩვენებლებისა ზღმარტლის სამივე ჭიშური ფორმის ნაყოფები ერთმანეთსააგან განსხვავდება ტექნიკური მაჩვენებლებითაც. მე-2 ცხრილში მოყვანილია ორი წლის მონაცემების საშუალო მაჩვენებლები.

ცხრილი 2

სხვადასხვა ჭიშური ფორმის ზღმარტლის ნაყოფების ტექნიკური მაჩვენებლები

ჭიშური ფორმა	სიმძლწ, სმ	დიამტრი, სმ	მასა, გ	მოცულობა, სმ ³	კუთრი მასა, გ/სმ ³	ერთლის მოცულობითი მასა, ტ/სმ ³	ერთლის კუთრი მასა, გ/სმ ³	ფორმის ინდექსი
ველური	2,26	1,95	5,05	5,09	0,992	0,604	38,80	0,99
მსხლისებრი	4,07	3,48	23,94	22,86	1,047	0,544	49,75	1,04
მსხვილნაყოფა	3,57	4,61	38,22	37,27	1,025	0,526	50,40	1,02

როგორც ცხრილიდან ჩანს, ძირითადად ნაყოფების წრფივი ზომებისა საშუალო მასის და მოცულობის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ჭიშური ფორმა მსხვილნაყოფა. მართალია, მსხლისებ-

რი ნაყოფების სიმაღლე მსხვილნაყოფას სიმაღლეს 0.5 სმ-ით აჭარბებს, მაგრამ მსხვილნაყოფას დიამეტრი 1,13 სმ-ით მეტია, რაც თავის მხრივ განაპირობებს ნაყოფების ბევრად უფრო დიდ საშუალო მასას და უფრო მაკრონუტრიენტების შემცველობას. ველური ჯიშური ფორმის ნაყოფები ამ მხრივ ტექნოლოგიური მახასიათებლებით ხასიათდება. მსხლისებრი ნაყოფების შედარებით უფრო მაღალი კუთრი მასა — 1,047 გაპირობებულია ხსნადი მშრალი ნივთიერების და კერძოდ, შაქრების უფრო მაღალი შემცველობით (იხ. ცხრილი 4).

ყრილის მოცულობით მასას და ღრმულ გამჟოლვადობას, ან ფორჩინობას მნიშვნელობა აქვს ნაყოფების შენახვა-ტრანსპორტირებისა და საერთოდ სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების მოსაწესრიგებლად ნაყოფების მოცულობასა და ყრილის ღრმულ გამჟოლვადობას შორის დაცულია კანონზომიერება: რაც უფრო მცირეა ნაყოფის მოცულობა (მაგალითად ველური ზღმარტლის — 5,09 სმ³), მით ნაკლებია მისი ყრილის ღრმული გამჟოლვადობა (38,8%) და პირიქით, რაც მეტია ნაყოფის მოცულობა (მაგალითად მსხვილნაყოფასი — 37,27 სმ³) მით მეტია ღრმული გამჟოლვადობა 50,4%.

ყრილის მოცულობითი მასა და ღრმული გამჟოლვადობა გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაფუთი ტარის შერჩევისას და ნაყოფების შენახვის დროს აერაციის უზრუნველყოფის საქმეში.

განსხვავებული მახასიათებლებით ხასიათდება აგრეთვე სხვადასხვა ჯიშური ფორმის ნაყოფები შემადგენელი ნაწილების—რბილობის, კანისა და კერძის ფარდობითი რაოდენობით (იხ. ცხრ. 3).

ცხრილი 3

ნაყოფების შემადგენელი ნაწილების ფარდობითი რაოდენობა (%)

ჯიშური ფორმა	რბილობი	კანი	კერძი
ველური	34,18	32,95	32,87
მსხლისებრი	65,31	11,62	23,07
მსხვილნაყოფა	63,00	16,10	20,90

